ხობის მოამბე

№4 (7107) 24 აპრილი,
ოთხშაბათი, 2019 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითმმართველობა უძველესი წესია ადამიანის ყოველდღიური საქმიანობისა. საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ ყველანი... ყოველი სასოფლოსადგილი, თვალსაზრისი ცალკეა თუ მოკლედ გადმოვცემთ, ნაბიჯი-ნაბიჯად ასის ფეხზე ყოფილია, ისევ მოდგება ჩვენ ადგილობრივი ალი.”

გილოცავთ!



აღდგომას, ერთ-ერთ ყველაზე უძველეს და მთავარ ქრისტიანულ დღესასწაულს, წელს მართლმადიდებელი ეკლესია 28 აპრილს აღნიშნავს.

14 აპრილი– დედაენის დღე

„საქართველოს მთებში ვეძებინა ზეცამ, სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენაე!“

დალუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს

9 აპრილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღეა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა **გოჩა ქაჯაიამ**, საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავამ**, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, 1989 წლის 9 აპრილს სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

კულტურის სახლის მცირე დარბაზში ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „საქართველო ჩვენ გვეკუთვნის, საქართველო ჩვენია“ გაიმართა, ხოლო ფოიეში მოსწავლეთა ნახატების გამოფენა მოეწყო.

ხობის წმინდა სამების სახელობის ტაძარში დეკანოზმა კირიონ დარასელიამ სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი ლოცვა აღავლინა.

საზოგადოების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპული ნათია ბაშალეიშვილის ხსოვნას და ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნათია ბაშალეიშვილის სახელობის წყარო ყვავილებით შეამკეს.

გილოცავთ ქართული ენის დღეს!

1978 წლის 14 აპრილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღია საქართველოს ისტორიაში. ზუსტად 41 წლის წინ, ქართული ენა ინტელიგენციის და სტუდენტობის ძალისხმევით, გადაურჩა სახელმწიფო ენის სტატუსის დაკარგვას. დღეს ქართული ენა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია.

ირაკლი (დაჩი) ბერაია,
საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.

მისი სახელის სადიდად!..

„ნათიას წყაროს“ არ გასვლია ყავლი, რადგან ის მარადისობის სიმბოლოა და იმ ავბედით დღეს–9 აპრილს დაღუპული ნათია ბაშალეიშვილის სახელთან ასოცირდება.

ეს წყარო ხეთელებმა ნათიას დედულეთში მისი სახელის სადიდად გააკეთეს და გამვლელ-გამომვლელს, თითოეულ ხეთელს 9 აპრილს აგონებს. იმ დღეს დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად მოედინება ონკანიდან წმინდა წყალი...

თბილისელი გოგონა ნათია ხეთელთა შვილიშვილია. ამ ქუჩებში გაზრდილი და თანატოლების გულებში ანთებული სანთელია, მისი სახელის სადიდებლად, 9 აპრილის სადიდად! აქ ყოველ 9 აპრილს ნათიას მემორიალი ყვავილებით მშვენდება და წმიდა სანთლები ინთება.

მარადიული დიდება 9 აპრილს დაღუპულ გმირებს.

სწორედ ნათიას წყარო და მემორიალია ხობის მუნიციპალიტეტში ამ დღის სიმბოლო.

30 წელია იწვის სანთელი შენი სახელის სადიდად, ნათია!.

ნანი კილასონია

გიორგი ლეონიძე

ქართულო სიტყვავ!

პირველ მოწყვეტილ იების დღიდან,
მე ვარ დამწვარი შენი მსახური;
შენი თაფლი და მარილი მზრდიდა,
მზე შენ დამწერე და გაზაფხული.
  შენ უკვდავი რძით დამაძუძურე,
  შხეფი ნათლისა სულში დასძარი;
  ჩემი დროშა ხარ მოიერიშე,
  ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი!
შენზე უჭკნობი და დიდებული
რაღამ შექმნას და ვიღამ დახატოს.
გულზე ხარ ცეცხლით მოჭიდებული,
ქართველი ხალხის სულის ღაღადო!
  ფოლად-ნადებო, ვარდში ხვეულო,
  თუ დაგივიწყო, შემახმეს ენა!
  სისხლსაც შენ მოგცემ მე წვეთეულად,
  სისხლის წინწკალსაც უკანასკნელად.
შენ უკვდავების ჩამონადენო,
მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო,
ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!

ქართული ენა, ენა ქართული

ენა ქართული.. ეს ის ენაა, რომელზედაც იზრდებოდნენ ქართველი ვაჟკაცები და მამულიშვილები. ეს იმ ქვეყნის ენაა, რომელსაც სისხლის ბოლო წვეთამდე იცავდნენ ჩვენი უძლიერესი მეფეები, უშიშარი მეომრები თუ რაინდები, საზოგადო მოღვაწენი თუ მწერალ-პოეტები.

იაკობ გოგებაშვილის დედაენით მინდა დავიწყო. არასოდეს დამავიწყდება დედაენის პირველი სიტყვები–„აი ია“. სწორედ, რომ დედა ენა და აი ია არის ჩემი ცხოვრების საფუძველი. ჩემი წარსული და ჩემი მორალი. ეს ის სანუკვარი ენაა, რომლითაც დავიწყე მეტყველება...

დიდმა ილია მართალმა ბრძანა: სამი საუნჯე დაგვრჩა წინაპართაგან: „ენა, მამული, სარწმუნოება“.

მამული დასაცავია, ვერაგმა მტერმა, რომ არ დაგვინაწევროს, სარწმუნოება რომ არ შეგვირაცხყოს.

ამისთვის კი შინაგანი და სულიერი სიმტკიცეა საჭირო, ხოლო ენის გადარჩენა დაცვას, ბრძოლას, სულიერ სიმტკიცესა და განსაკუთრებულ მოფრთხილებას ერთდროულად საჭიროებს, რომ არა იაკობ გოგებაშვილის დედაენა, რომელზეც თაობები გაიზარდა, რომ არა ილია ჭავჭავაძე და მის მიერ დაარსებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომ არა დიდი ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ბრძოლა დამოუკიდებლობის, თავისუფლების. სარწმუნოებისა და ქართული ენისთვის, ვინ იცის იარსებებდა თუ არა საქართველო, ქართველები და საერთოდ, ქართული ენა. ამ მონაპოვარს კი განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება სჭირდება. ილია მართალმა თქვა „ერის გათახსირება, პირქვე დამხობა და გაწყალება იწყება მაშინ, როდესაც ერი თავის ისტორიას ივიწყებს“ ჩვენი ისტორია კი არის „ენა, მამული, სარწმუნოება“. თითოეული ქართველის ვალია იყოს ბურჯი ენისა და ეროვნებისა. „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა“.

ცოტნე ვადაქარია, ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე.

„სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“



ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება.

ქართული ენა ქართველი ერის ენაა. იგი უმთავრესი იარაღია კულტურისა, ძირითადი ფაქტორი და გამომხატველი ერის განვითარებისა, მისი შემოქმედებისა, ნაციონალური თვითშეგნებისა. ქართულ ნაციონალურ ენაში აღიბეჭდა ქართველი ხალხის ისტორიის ეტაპები, უძველესი ხანიდან მოყოლებული, ყველა საფეხური, რომლებიც განვლო ქართულმა კულტურამ, ამიტომ ხალხის მდიდარი წარსული, მისი კულტურის ინტენსიური განვითარება თავდებია ამ ხალხის ენის სიმდიდრისა და მძლავრი განვითარებისა.

ქართული ენა ქართველი ტომების საერთო ენაა. იგი აერთიანებს ქართველი ერის უმთავრეს ტომებს: ქართებს, მეგრელ-ჭანებს (ზანებს) და სვანებს. კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ცნება „ქართული ენისა“ შეიცავს როგორც საკუთრივ ქართულ ენას, ისე მეგრულ-ჭანურს (ზანურს) და სვანურს, თუმცა ვიწრო ლინგვისტური გაგებით მეგრულ-ჭანური (ზანური) და სვანური „ენებია“.

მსოფლიოში დაახლოებით სამი ათასი ენაა, ანბანი კი მხოლოდ თოთხმეტი. მათ შორის ერთ-ერთია ქართული ანბანი.

ქართული ჩვენი დედაენაა. „დედა ენა კი არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი,–ასე უქადაგა ქართველებს მშობლიური ენის შესახებ საქართველოს კათალიკოს -პატრიარქმა **კირიონ მეორემ“.**

ერი, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, არ ივიწყებს მას, ღვთისგან კურთხეულია და ასეთ ერს აქვს უფლება ცხოვრებისა და თუ ერი თავის ენაზე წინ აყენებს უცხო ენას, მას სიცოცხლე არ უწერია... მრავალი ენა გადაშენდა და ის დღეს მკვდარ ენებშია მოქცეული....

„ნურავის ეგონება ეს ყველაფერი უშნო ახირება, უაზრო ჭირვეულობა იყოს. სწორედაც რომ არა. პირიქით, ყველა ცივილიზებულსა და განვითარებულ ქვეყანაში უპირველესად სახელმწიფო ენად აღიარებულს ანიჭებენ უპირატესობას, მასზე მეტყველების აუცილებლობას უყენებენ იქ სამოსახლოდ ჩასულთ, მისით ნათლავენ ყველანაირ საწარმოსა და დაწესებულებას, ფირმას, კორპორაციას, კონცერნს, ნაწარმს. ასეა, ყველას თავისი ურჩევნია და მის სულ მცირედ აუგად ხსენებას, უდიერად მოპყრობას არავის აპატიებენ. ჩვენში კი რატომღაც ბევრმა დაივიწყა ოდითგან ჭკვიანურად ნათქვამი:“

„სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მაჟალოს დათესვა გერჩიოსო“. **რატომღაც ბევრი ივიწყებს მშობლიურ ენას და ისე ეწაფებიან უცხოურ ენას, როგორც ირემი მთის წყაროს.**

ყველამ უნდა ვიცოდეთ ქართული ენის ფასი...გავეცნოთ მის ისტორიას... მარტო ის რად ღირს, რომ როცა მარიამ ღვთისმშობელი გამოეცხადა ექვთიმე ათონელს, ქართულად ელაპარაკა მას...

ასეა, საკუთარი უნდა ვარჩიოთ სხვისას. ქართული ენა დგას უძველეს ცივილიზებულ ენათა შორის და მით უფრო ენის მხრივ, ბევრად წინ რომ ვდგავართ უამრავ ერსა და ტომზე, ენა ქართული ხომ ერთი უძველესთაგანია და უმდიდრესია დედამიწის ზურგზე.

მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ, მოვეფეროთ და დავიცვათ ენა ჩვენი მშობლიური, გავწმინდოთ და უწინდელი მშვენება დავუბრუნოთ. და ვილაპარაკოთ უძველესი, ღვთივკურთხეული, დალოცვილი, ულამაზესი, უბრწყინვალესი ენით ქართულით–იაკობის, დავითის, თამარის, საბას, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, კონსტანტინეს ძარღვიანი ქართულით.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. ენის წახდომა და დაცემა კი სიკვდილის ტოლფასია და ის მხოლოდ ისტორიას დარჩება.

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია! ბედისწერაა!
ზღვა როა! იმოდენაა!“

ქართული ენა მყინვარივით გულზვიადია, ზღვასავით ულევი, თასმასავით მოქნილი ღმერთების ენა.

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან. და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა.“

ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა, ისევე როგორც ლაზარე.

იოანე იყო მთავარი მოციქული იესო ქრისტესი, მოწაფე, „რომელიც უყვარდა იესოს“ და რომელიც იყო მისი უახლოესი სულიერი მეგობარი, იგი იყო ამავე დროს ძეობილი ღვთისმშობლისა, ისევე როგორც საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი.

ქართული ენა ბიბლიური ენაა... და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან....

ნინელი-მზია ხუხია.

15 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში, „დედაენის“ დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ფარნავაზ მეფე“ (ხელმძღვანელი მაია კუჭავა).

სოფელი

ნომრის სტუმარი გახლავთ გოგი გოგინავა–ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი.

ძველხიბულელთა ახალი გამოწვევები...

ბატონო გოგი, რითი იყო შორეულ წარსულში ძველი ხიბულა გამორჩეული სხვა სოფლებისგან და დღეს რითია ის აღსანიშნავი. რატომ დაერქვა მას ხიბულა?

–ძველი ხიბულა მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტში, კოლხეთის დაბლობზე და მის მიმდებარე გორაკ-ბორცვებზე, მდინარე „ჭანისწყლის“ (მეგრულად „წენწყარი“) მარცხენა სანაპიროზე. სოფელი მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 25 კილომეტრით, ქალაქ ზუგდიდიდან–16, საპორტო ქალაქ ფოთიდან კი 40 კმ-ით. ის ძველი დროიდან წარმოადგენდა გზაჯვარედინს და აქ გადიოდა სამეგრელოს ცენტრალური გზა, რომელიც აფხაზეთის, იმერეთის, გურიის და აჭარის მიმართულებით გადიოდა.

სოფელს დიდი ისტორია აქვს, თუმცა სახელით „ხიბულა“ XIX საუკუნიდან მოიხსენიებენ.

ხიბულაში მაია დადიანს ჰქონდა სასახლე მდინარე „ჭანისწყლის“ სანაპიროზე, სადაც ბოლო პერიოდში ის ცხოვრობდა. ერთხელ ზუგდიდიდან ხიბულაში მოგზაურობის დროს მაია დადიანს თან ახლდა აფხაზი დავეხ არშბა. როდესაც ამალა სოფელ ჭაქვინჯს გასცდა და მივიდა იმ ადგილამდე, სადაც ქადარიები ცხოვრობენ, დაინახეს მდინარის პირას ტყით დაბურული, ლამაზი სოფელი, მდინარე ჭანისწყლის სანაპიროზე, აფხაზმა აღფრთოვანებით დაიძახა „ახიბლ“, რაც აფხაზურად ლამაზს, მშვენიერს, მომხიბვლელს ნიშნავს. მაიას ეს სიტყვა მოეწონა და სოფელს ხიბულა დარქვა (არსებობს სხვა ვერსიებიც).

სოფელში ყოფილა რამდენიმე ეკლესია, მათ შორის საქანთარიოს უბანში, აქ გასულ წელს გათხრები წარმოებდა და აღმოჩენილიქნა ეკლესიის საძირკვლები.

სოფლის ცენტრის თავზე, გორაკზე მდებარეობს ძველი ხიბულის ციხე, რომელიც VII-X საუკუნეებში მოიხსენიება ჯიხად. სასიგნალო ციხე, ციხე სალარო. მტრის შემოსვლისას მასზე ანთებდნენ ცეცხლს და ასე აცნობდნენ სხვა ციხეებს მტრის შემოსევას. გარკვეული პერიოდის მანძილზე აქ ინახებოდა მთავრობის საგანძური, მას გააჩნდა ჭანისწყალთან ჩასასვლელი, საიდუმლო გვირაბი.

ხიბულის მოსახლეობის საქმიანობა შუა საუკუნეებში იგივე მიმართულების იყო, როგორიც სხვა მეზობელი სოფლების.

ბატონო გოგი, გვესაუბრეთ დღეს როგორ ცხოვრობენ ძველხიბულელები, რა ფუნქციონირებს, რამდენი კომლია და იმ ყველაფერზე, რაც არის მნიშვნელოვანი?

–ძველ ხიბულაში არის 290 კომლი 890 მაცხოვრებლით. დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს საჯარო სკოლა (დირექტორი ზვიად ღვინჯილია), საბავშვო ბაღი (მთავარი სპეციალისტი ერიდა ჯიშკარიანი) და ადმინისტრაცია.

საბჭოთა პერიოდში სოფლის ძირითადი საქმიანობა იყო მრავალწლიანი კულტურებიდან ჩაი, ერთწლიანი კულტურებიდან მესიმინდეობა, ასევე სოიოსა და ბოსტნეული კულტურების მოყვანა.

დღეისთვის ძირითადი კულტურაა თხილი და ერთწლიანი კულტურებიდან სიმინდი, მეცხოველეობიდან მსხვილფეხარქოსანი პირუტყვი. ბოლო ხანებში ფეხს იკიდებს მეცხვარეობაც.

ხიბულელების ცხოვრების გარანტი არის მათი შრომა. ოდითგანვე იყვნენ ისინი შრომისმოყვარე ხალხი, რომელთაც ოჯახის სარჩენის გარდა, ბაზარში გასატანი მოსავალიც მოჰყავთ, როგორც ერთწლიანი, ასევე მრავალწლიანი.

როგორი იყო გასული წელი თქვენთვის, რა გაკეთდა ხალხისთვის?

–გასული წელი აღსანიშნავია ჩვენთვის იმით, რომ დაიწყო ზუგდიდი-ნარაზენი, ძველი ხიბულა-ახალი ხიბულა, ზუბის შემაერთებელ გზაზე ასფალტის დაგება, რომელიც მიმდინარე წლის მარტში დამთავრდა, რითაც მოსახლეობა დიდად კმაყოფილია. აგრეთვე გასულ წელს მთავრობის დახმარებით ჩატარდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, რითაც მოსახლეობამ სიმინდის მეტი მოსავალი მიიღო.

რას გვეტყვით საქართველოს პირველი პრეზიდენტის–ზვიად გამსახურდიას სტუმრობაზე ძველ ხიბულაში. მისი ცხოვრების ბოლო ეტაპზე? რატომ ძველ ხიბულაში?

–ზვიად გამსახურდიას სტუმრობა ძველ ხიბულაში იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ რიგითი ადამიანების მიერ წლების განმავლობაში უცნობი იყო. ეს წლების შემდეგ გახდა ცნობილი. ამის შესახებ ბევრი დაიწერა და ითქვა. რატომ ძველ ხიბულაში?–ალბათ ის სახლი ყველაზე სანდო იყო იმ ხალხისთვის, ვინც ბატონი ზვიადი სიცოცხლის ბოლო დღეებში იქ მიიყვანა.

როგორ შეხვდნენ ამ დღეებში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ბატონ ბიძინა ივანიშვილის სტუმრობას ძველხიბულელები და მის ინიციატივებზე რა აზრისაა ხალხი?

–ბატონი ბიძინა ივანიშვილის სტუმრობა ძველ ხიბულაში მოულოდნელი იყო. ამიტომ მოსახლეობის დიდ ნაწილს ვერ შეხვდა. სტუმრები ღურწკაიების სახლში, სადაც პირველი პრეზიდენტი გარდაიცვალა, იქ შეხვდნენ ხალხს. ძველხიბულელებმა მიიღეს შეპირება მოსალოდნელზე მეტი, რითაც განცვიფრებული და გახარებულები არიან.

მან გამოთქვა ბევრი ინიციატივა, მათ შორის იმ სახლის პირვანდელი სახით აღდგენა და მუზეუმად გადაქცევა, სადაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი გარდაიცვალა.

გადაწყდა იქვე ახლოს, ეკლესიის და პატარებისთვის ახალი საბავშვო ბაღის აშენება, რომელიც გათვლილი იქნება 50 აღსაზრდელზე, მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მოყვანა მეორე სოფლიდან და გზებზე ასფალტის დაგება.

ძველ ხიბულელებს სჯერათ, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი მათთვის ამ ინიციატივებს ოცნებად არ დატოვებს, არამედ სინამდვილედ აქცევს.

უკვე ხომ არ დაიწყო, ინიციატივების განხორციელება? რაში გამოიხატება ის?

–ბატონი ბიძინა ივანიშვილის ვიზიტის მეორე დღესვე დაიწყო აღნიშნული ინიციატივების განხორციელება, რაც იმაში გამოიხატება, რომ დაწყებულია აღნიშნული სახლის გაწმენდითი და აღდგენითი სამუშაოები. ეკლესიის ასაშენებლად ადგილის შერჩევა მიმდინარეობს. დაიწყო მეორე სოფლის, ჭაქვინჯის იმ მოსახლეობასთან მოლაპარაკება, სადაც ამოდის ბუნებრივი წყალი, რომელსაც აქვს დიდი მარაგი, რის შემდეგაც მიიღეს ნებართვა წყლის გაყვანილობაზე, ამის შემდეგ შეუდგნენ აზომვით სამუშაოებს, შერჩეულია ახალი საბავშვო ბაღის ასაშენებელი ადგილი და ასევე გზის აზომვითი სამუშაოებიც დაიწყო.

გვიამბეთ თქვენს სამოქმედო გეგმებზე, რაც გათვლილია მიმდინარე წლისთვის. (სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით?)

–ჩვენი სამოქმედო გეგმა არის გათვლილი სოფლის კეთილდღეობაზე, მათ კარგ ცხოვრებაზე. რა იქნება სოფლის ხელმძღვანელისთვის იმაზე კარგი და მნიშვნელოვანი, რომ სოფელი იყოს კმაყოფილი, ამიტომ აღნიშნული ინიციატივების განხორციელება ძველი ხიბულელებისთვის იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, რაც იქნება გათვალიწინებული, გადავწყვეტთ სოფლის მოსახლეობასთან ერთად, ის რაც უფრო საჭირო და პრიორიტეტული იქნება და მას მოსახლეობის უმრავლესობა მხარს დაუჭერს.

მე არ შემიძლია ჩვენი საუბარი დავამთავრო ისე, რომ დიდი მადლობა და პატივისცემა არ გამოვხატო ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ ჩემი და ჩემი სოფლის მოსახლეობის სახელით. დიდი მადლობა მას და დღევანდელ მთავრობას ძველხიბულელთა ასე გახარებისთვის.

გისურვებთ მომავალ წარმატებებს სოფლის საკეთილდღეოდ!

–დიდი მადლობა ყურადღებისთვის!

ესაუბრა
ნანი კილასონია

„გული დამაქვს სიყვარულის განახელი, მყვარებია... ჰო, ცრემლებიც მყვარებია; ჩემი ქვეყნის ძველი დარდი და ნაღველი, ხანჯალივით გულში გამიტარებია...“

„ჩემი ქვეყნის ძველი დარდი და ნაღველი...“

ფიქრთა ბრიალში დრო იცრიცება...

ღამეს შფოთვაში ატარებ, მტკივანა მღვრიე დუმილით სულსავსე დრო ნელა მიიწევს...

მართლაც მეწამულ გზაზე იარა ქართველმა ხალხმა და ათას მორიელს გადააწყდა, რომლებიც გესლავდნენ, კლავდნენ, გლეჯდნენ, ძარცვავდნენ ყველაფერს ქართულს. ანტიეროვნულმა გაუმაძღარმა ცრუ მამულიშვილებმა და ფარისევლებმა სრული ქაოსის, განუკითხაობის, უსამართლობის, ძალადობის, გარყვნილობის უძირო ჭაობში ჩაძირა ქვეყანა, იღუპებოდა ყოველი ქართული, ეროვნული ფასეულობა–ღირებულებები.

წლების განმავლობაში ქვეყანას მართავდნენ მტრული ძალები, მათი „მოღვაწეობის“ დროს „ეკიპაჟის“ წევრებთან ერთად ფარული შეთანხმებით, ურთიერთმოჩვენებითი კრიტიკით და ღანძღვაგინებით ხალხს თვალებში ნაცარს აყრიდნენ. თავად მოღალატეები სხვას მოღალატეს ეძახდნენ. სამხედრო გადატრიალების სცენარისტები ყოველი მხრიდან უტევდნენ მამულს წასალეკად. მათ მიერ დარბეულებით, დასახიჩრებულებით, დაღუპულებით, „სხვისი ომისთვის“ განწირულებით გაავსეს ქართული მიწა.

მკაცრმა, გაუგონარმა სინამდვილემ. ჩვენს სიამაყეს ფრთები შეკვეცა...

სულში სახიფათო ნაპრალები დატოვა. ჩემს მეხსიერებაში დარჩა სევდიანი მოგონება, უმისამართო შურისძიება, სიხარბე, ჩაგვრა...

ეს ყველაფერი განცდაა ადამიანისა, რომელმაც იხილა ეპოქის მრავალნაირი გარდასახვა. თავგანწირვა და ღირსების დასამარება.

საკუთარი ბიოგრაფიიდან იკვეთება ის ცხოვრება, რაც შეგრჩა სულში. იკვეთება ისიც, რაც შენ თვითონ ხარ ბოლომდე, ერთგული შენი რწმენის, იდეის, გახსენდება მძიმე ეპოქის ტკივილიანი და ხიფათიანი გზა, თითქოს ხელახლა გსურს მოიხილო ყველაფერი, რაც შენს გარშემო ყოფილა თუ თავისუფლებისთვის დაბადებული ადამიანების გარემოება როგორ „მიჰ ქარგ-მოჰქარგავს“.

დღეები თავისი მდინარებით მიემართებიან, ადამიანები მიდიან და მოდიან და ამ სივრცეებზე თავისი სულის, თავისი განვლილი ცხოვრების ნაკვალევს ტოვებენ...

1991 წლის 22 დეკემბერს, საქართველოში დაწყებული ბოლშევიკურ-კრიმინალური გადატრიალებიდან 30 წელი გავიდა. ქართველ ხალხს არ შეუწყვეტია ბრძოლა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის. ის იბრძოდა მორალური და სულიერი გამარჯვებისთვის.

ჩვენ გავიმარჯვეთ, ჩვენ, ვინც ვიცით ყადრი და ფასი ქართული მიწის, ვინც მამულისთვის იწვის და იღწვის.

ხობი–თბილისი–მთაწმინდა...

ფიქრში ახლაც მთაწმინდაზე ვდგავარ. ამაყი საქართველოს პირველი პრეზიდენტის საფლავთან, უცებ ციდან ღვთიურმა ხმამ გაიწკრიალა „მამულიშვილნო! გაუმარჯოს ერთიან, ძლიერ საქართველოს!“

ბატონო პრეზიდენტო, როგორ მონატრებიხართ ქართველ ხალხს, 31 მარტს, 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით თქვენს საფლავთან უწყვეტად მოედინებოდა მთელი საქართველო,–მოხუცები, ახალგაზრდები, ბავშვები შინდისფერი დროშებით, შეძახილებით: „რაინდო, მამულიშვილო, წამებულო, შენ იყავი გმირი, კავკასიის ქედმოუხრელ გულის გული“...

ჩამოიწრიტა სევდის ცრემლები...

„დუმილი გახდა ვიწრო გალია,
ვისი ბრალია, ვისი ბრალია“.

გვაპატიე პრეზიდენტო!..

* * *

ზესტაფონი–

სტუმართ-მასპინძლობის ეტალონად ცნობილი დუგლაძეების ოჯახი.

საღამოს ჭიშკარს მივადექით... კუნაპეტივით შავი, მოზვერივით ნაგაზი გამოგვენთო. მასპინძელს რომ ვუხმეთ, ახლობელიაო იფიქრა, დაწყნარდა, დამშვიდდა და სიყვარულით სავსე თვალებით შემოგვხედა.

სტუმარი ღვთისაა. აივანზე ორმა ლამაზმა ქალბატონმა შემოგვგძახა: რძალ-დედამთილიაო გვიპასუხა „გიდმა“ გენდრი ლატარიამ, სწორედ მისი დაჟინებული თხოვნით ვეწვიეთ იმერეთის ამ ულამაზეს ოჯახს...

დაფაცურდა მთელი ოჯახი, გაიშალა ქართული, ტრადიციული სუფრა, უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი. ყველაფერს ოხშივარი ასდიოდა. მივყევ-მოვყევით. ოჯახის უფროსი ბატონი მერაბი, ჩვენი თანამებრძოლების, გენდრი და როზენ ლატარიების მამის ჯარის მეგობარი აღმოჩნდა. იმ ავბედით დღეებში, როდესაც მოღალატეებმა დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, ძმები ამ დიდ ბრძოლაში ჩაებნენ და იბრძოდნენ საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისთვის. მხედრიონი ყველგან დაძრწოდა. სამშობლოს ერთგულ ძმებს ყველგან დასდევდა. ბიჭების მამა იძულებული გახდა შვილები თავის ჯარის მეგობართან, ზესტაფონში გადაემალა. ეს დიდი პასუხისმგებლობა დუგლაძეების ოჯახმა იკისრა. რა არ განიცადა ამ ოჯახმა–დევნა, შევიწროება, დამცირება. მაგრამ ღირსება შეინარჩუნა. შემდეგ მათი ურთიერთობა ნათელ-მირონობაში გადაიზარდა და დღეს ერთმანეთისთვის უსაყვარლესი ადამიანები არიან.

მასპინძელი სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე, ფიალას ფიალაზე ცლიდა:

„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, გაუმარჯოს ზვიად გამსახურდიას!

მადლობა, რომ მესტუმრეთ, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ, ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ, ვაკეთოთ სიკეთე. გვიყვარდეს, ვუერთგულოთ ერთმანეთს და დავტოვოთ კვალი წარუშლელი, დავზარდოთ შვილები, შვილიშვილები მამულის მოსავლელად და უფლის სადიდებლად. წინ სამეგრელო, წინ საქართველო!“

შეუმჩნევლად გავიდა დრო და ამ ოჯახიდან გამოგვყვა დიდი სიყვარული. „დიდი სახლის პატარა დიასახლისების“–მარიამ და ნიაკოს ნათელი მზერა და ბედნიერი სახეები.

მადლობა მათ საოცარი სითბოსთვის, სიყვარულისთვის, მასპინძლობისთვის. იხაროს დუგლაძეების ოჯახმა შვილებით, შვილიშვილებით. მრავალ აღდგომის დღესასწაულს დაასწროს უფალმა.

ჩვენ კი დიდი გმირების უკვდავსაყოფად მოგვცემოდეს უნარი და ძალა ნეტარყუჩობისა და სიყვარულისა.

...ფიქრში ახლაც მთაწმინდაზე ვდგავარ და იქიდან ვხედავ საქართველოს წვას და ეს წვა ჩვენც გვინათებს გზას უკვდავებისმიერნო.

ნაირა ბერაია

9 აპრილიდან 9 აპრილამდე

1989 წლის 9 აპრილიდან 1991 წლის 9 აპრილამდე ქართველმა ხალხმა საფუძველი დაუდო ეპოქალურ მოვლენებს.

ე.წ. „პერესტროიკისა და „გლასნოსტის“ გამოცხადებიდან სულ რაღაც მცირე დროში გააქტიურდნენ ქართველი პატრიოტები:

1987 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მწვავე პროტესტის შედეგად შეჩერდა ქვეყნისთვის მეტად საზიანო ტრანსკავკასიის მაგისტრალის პროექტი.

1988 წლის გაზაფხულში დაიწყო საპროტესტო მანიფესტაცია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დასაცავად. მონასტერთან განთავსებული იყო რუსეთის სამხედრო პოლიგონი, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა სამხედრო წვრთნები, სროლები და აფეთქებები. რუსი ჯარისკაცების მხრიდან ვლინდებოდა ვანდალური ფაქტები. ზიანდებოდა უნიკალური ისტორიული კომპლექსი. ადგილი ქონდა ფრესკების ხელყოფას.

ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მიერ ორგანიზებულმა საპროტესტო აქციამ შეაჩერა რუსი ჯარისკაცების უკონტროლო თარეში, პოლიგონზე შეწყდა წვრთნები და აფეთქებები.

1988 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ მიიღო დადგენილების პროექტი–კონსტუტიციიდან იმ მუხლის ამოღების შესახებ, რომელიც ფორმალუარდ ითვალისწინებდა კავშირიდან რესპუბლიკების „ნებაყოფლობით“ გასვლას, რასაც თბილისში მოყვა ნოემბრის მრავალათასიანი საპროტესტო აქცია. საბჭოთა ხელმძღვანელობა გორბაჩოვის მეთაურობით იძულებული გახდა ძალაში დაეტოვებინა კონსტიტუციის ეს მუხლი, ამით არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა რესპუბლიკებსაც შეუნარჩუნდა „კავშირიდან“ გასვლის ლეგიტიმური უფლება. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ქონდა კონსტიტუციის ამ მუხლს ეს შემდგომში დაგვანახა ჩეჩნეთ რუსეთის ომმა. მიუხედავად დიდი თანაგრძნობისა, ჩეჩნებს ვეღარ მიენიჭათ დამოუკიდებლობის ლეგიტიმური უფლება. მათ ვერ მიიღეს დე იურე საერთაშორისო მხარდაჭერა, რადგან არ ქონდათ საბჭოთა კონსტიტუციით მოპოვებული ეს სტატუსი. სწორედ ნოემბრის ამ აქციის საპირისპიროდ კრემლმა გააჩაღა ანტიეროვნული პროპაგანდა, ეროვნულ ძალებს დაუპირისპირა სეპარატისტული მოძრაობა. კრემლის წაქეზებით აფხაზმა სეპარატისტებმა გუდაუთაში მიიღეს ე.წ. „ლიხნის წერილი“, ისინი კრემლისგან ითხოვდნენ „სტატუსს“– საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ, რასაც მოჰყვა თბილისში აპრილის საპასუხო რეაქცია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, 4 აპრილიდან 9 აპრილის ჩათვლით, რუსთაველზე „ქართველ მოწამეთა“ მრავალათასიანი ლაშქარი იდგა, აქციის ორგანიზატორებმა წამოაყენეს ლოზუნგი საქართველოს დამოუკიდებლობის მოითხოვნით, რომელსაც თავდადებულ მამულიშვილთა სიცოცხლე შეეწირა.

9 აპრილი! ეს იყო კრემლის წინააღმდეგ მოწყობილი უიარაღო აჯანყება.

9 აპრილზე, როგორც გარდამტეხ ისტორიულ მოვლენაზე, მრავალგვარი შეფასება გვსმენია ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. მის მნიშვნელობაზე მამავალშიც იმსჯელებენ თაობები. აქ კი ისმის ერთადერთი კითხვა, რომ არა 9 აპრილი, რა რეაგირება მოყვებოდა „ლიხნის წერილს“? მიიღებდნენ თუ არა აფხაზები აღნიშნულ „სტატუსს“? პასუხი ერთია–მიიღებდნენ!

9 აპრილს, პირველი დამანგრეველი დარტყმა მიიღო საბჭოთა რუსეთის იმპერიამ. კრემლმა კონტროლი დაკარგა...

თბილისისა და ვილნიუსის მოვლენებმა დააჩქარეს აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების გათავისუფლება. შეუქცევადი გახდა ს.ს.რ.კ.ს რღვევის პროცესი. დაიწყო დიდი სახელმწიფოების მეთაურთა შეხვედრები რეიკიავიკსა (ისლანდია) და მალტაში. კრემლი იძულებული გახდა გაეყვანა სამხედრო კონტიგენტი აღმოსავლეთ ევროპიდან.

სოციალუსტურ ბანაკში განვითარებული პროცესებით თვითკმაყოფილ დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს, მაინც და მაინც დიდად მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ „საბჭოთა კავშირის“ დაშლა, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე. იმჟამად უკრაინაში ვიზიტით მყოფმა ა.შ.შ. სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა უკრაინელებს ურჩია შეენარჩუნებინათ საბჭოთა კავშირის მთლიანობა. პრეზიდენტმა ბუშმა კი ზვიად გამსახურდიას დინების საწინააღმდეგოდ ცურვა დაუწუნა, აქედან ჩანდა, რომ წამყვანი სახელმწიფოები კრემლისგან აღმოსავლეთ ევროპის დათმობას სჯერდებოდნენ. ამ დროს საქართველოსთვის აღარავის ეცალა, საქართველო კი კვლავ იბრძოდა, იბრძოდა ერთსულოვანად. ყველა ქალაქსა და რაიონში იმართებოდა წვევამდელთა საპროტესტო აქცია. ახალგაზრდებმა უარი თქვეს საბჭოთა ჯარში გაწვევაზე. კომუნისტური პარტიის რიგებს ტოვებდა ათასობით ქართველი.

1989 წლის 15 ივლისს აფხაზი სეპარატისტები სოხუმში თავს დაესხნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს

5

9 აპრილიდან 9 აპრილამდე

4

ვოვა ვეკუას და სოსო ადამიას. თავდამსხმელებმა მუხანათურად მოკლეს გულანთებული მამულიშვილები. იმავე დღეს სრულიად საქართველო ფეხზე დადგა. დაახლოებით 3000 ათასამდე „მებრძოლი შეიყარა მდინარე ღალიძგასთან (ოჩამჩირის რაიონი), დაირაზმა მთელი საქართველო. აქ იყვნენ სანადირო თოფებით შეიარაღებული აჭარლები, იმერლები, გურულები, მათი დამხვდურნი და მასპინძელი–სვანები და მეგრელები. ერთსულოვან ქვეყანასთან ამჯერადაც დამარცხდნენ ჩვენი მოავენი.

მახსოვს მერაბ კოსტავა მილიციის სატვირთო მანქანაზე შემდგარი მოუწოდებდა თანამებრძოლთ, არ წამოგებოდნენ პროვოკაციებს, არ დაეშვათ რაიმე ექსცესი.

ღალიძგას მოვლენა გახდა სეპარატისტებისთვის გაფრთხილებაც და ჭკუაზე მოსვლის გაკვეთილიც.

სულ მალე მთელს აფხაზეთში დაისადგურა სიმშვიდემ, ქართველებსა და აფხაზებს შორის დაიწყო დიალოგი.

მოსკოვი კი სხვა, მორიგ საგონებელს უმზადებდა საქართველოს, კრემლის ინსპირაციით წარიმართა უზბეკეთში ფერგანას მოვლენები, წამოიწია „თურქი-მესხების“ საკითხმა. კრემლს მრავალათასიანი თურქულენოვანი ოჯახების ჩამოსახლებით სურდა ჩვენში შეეცვალა დემოგრაფიული სურათი. ეროვნული მოძრაობის თავკაცთა ძალისხმევით შეკავებულიქნა „თურქ-მესხთა“ მოსალოდნელი ექსპანსია, აქაც ჩვენმა ერთსულოვანებამ გაიმარჯვა. საქართველო კვლავაც წინ მიიწევდა. ერი-ერთ მუშტად შენივთდა, ამიტომ მოხდა ჩვენთვის ყველაზე საბედისწერო შემთხვევა:

1989 წლის 13 ოქტომბერს, მეტად საეჭვო ვითარებაში, ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპნენ მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე. ამ დღიდან იწყება საქართველოს ცაზე ჭილ-ყვავთა შემოსევა. დაიღუპა ერის ერთიანობის ბურჯი. ამ დღიდან ელოდა ქვეყანას და მის ქრისტესმიერ ძმას უმძიმესი განსაცდელი.

ეროვნული გმირის დაღუპვის შემდეგ შეძლეს ქართველებში ბზარის შეტანა. უმერაბოდ დარჩენილმა ზვიადმა მარტომ ვერ შეძლო მომხდურებთან გამკლავება და გამოჩნდნენ კიდეც ეროვნულ მოძრაობაში „დიდი ფილოსოფოსები“, რომლებმაც წამოაყენეს თეზა: „ჯერ დემოკრატია, მერე დამოუკიდებლობაო“. „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო“. გამოჩნდა დემაგოგ პოლიტოლოგთა მთელი კასტა, ყალბი პოლიტიკოსები, რომლებიც სტრატეგიას უწუნებდნენ ზვიად გამსახურდიას. მოგვიწოდებდნენ, რომ ეროვნულ ძალებს არჩევნებში არ მიეღოთ მონაწილეობა, სანამ ქვეყანას რუსეთის საოკუპაციო ძალები არ დატოვებდნენ, მაგრამ როგორ? როდის? ან ვის უნდა გაეყვანა ოკუპანტები, ამას ვერ ხსნიდნენ, არც იმას ამბობდნენ, რომელ პოლიტიკურ სუბიექტებს უნდა გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა, არჩევნებში მონაწილეობას კი ღალატად თვლიდნენ.

ასე შეიქმნა 1990 წლის 30 სექტემბერს ე.წ. „ეროვნული კონგრესი“. იმავე დღეებში გამოჩნდა გაურკვეველი შეიარაღებული ჯგუფი „მხედრიონი“, რომელსაც კომუნისტების ხელშეწყობით გადაეცა „დოსაააფის“ ქონება (ავტომანქანები და სხვა), ის „კონგრესის“ საიმედო ძალა გახდა.

მიუხედავად „კონგრესმენთა“ ბოიკოტისა, ზვიად გამსახურდიამ აიძულა კომუნისტური რეჟიმი დაენიშნა მრავალპარტიული არჩევნები, რაც ამავე წლის 28 ოქტომბერს „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვებით დაგვირგვინდა. ეს იყო პირველი მრავალპარტიული არჩევნები პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ხობი. 1989 წლის 26 მაისი.

1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თითქოს დასრულდა ქარველი ხალხის 200 წლოვანი მონობა...

9 აპრილიდან 9 აპრილამდე თითქოს საუკუნე დატეულა. თამამად უნდა ითქვას, რომ ეს იყო ჩვენი ქვეყნის ერთიანობის, ბრძოლისა და ამაღლების საუკეთესო ხანა.

ვგონებ, ჩვენს ქვეყანას დღესაც სჭირდება ასეთი ერთიანობა, შემართება და ეთსულოვნება.

ტრისტან ვადაქარია.

„მადლობა თავისუფლებისთვის“

30 წლის შემდეგ, წლევანდელ 9 აპრილს ბუნებამაც არ მოაკლო თავისი სიკეთე. ამდენ უჟმურ ამინდებში ეს დღე გამოერია მადლიანი, იგი გათენდა მზიანი და თბილი.

მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის ორგანიზებით კულტურის სახლის მცირე დარბაზში გაიმართა ღონისძიება-,,მადლობა თავისუფლებისთვის“.

ღონისძიების მონაწილეების მიერ გმირების უკვდავსაყოფად შესრულებულმა სიმღერებმა და პატრიოტულ თემაზე წაკითხულმა ლექსებმა მაყურებლის მძაფრი ემოცია გამოიწვია, ხოლო მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის (ხელმძღვანელი ნინო გერგაია) მოსწავლეების მიერ წარმოდგენილმა ლიტერატურულ-მუსიკალურმა კომპოზიციამ „საქართველო ჩვენ გვეკუთვნის, საქართველო ჩვენია“ დიდი მოწონება დაიმსახურა, ხოლო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „აია-კოლხამ“ (ხელმძღვანელი გოდერძი გახარია) „ხორუმი“ წარმოადგინა.

მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა სხვადასხვა ნაწარმოებები შეასრულეს.

იმედის სხივი წარმოჩინდა...

ახალი ეპოქა, რომელსაც ძალუძს ჭეშმარიტების საკადრისად შეფასება. სწორედ 2019 წლის 9 აპრილი იყო ამის გამოძახილი...

21–ე საუკუნის თაობა

9 აპრილი და თანამედროვეობა

ღონისძიებაზე „მადლობა თავისუფლებისთვის“ წაკითხული ესეებიდან

გამარჯობა, როგორ ბრძანდებით. მე კარგად ვარ. ვსუნთქავ, ვფიქრობ, ვწერ, ვსაუბრობ. შეიძლებოდა პირველი სიტყვა რუსული „ზდრავსტვუიწეთი“ დამეწყო და ასევე რუსულად გამეგრძელებინა, რომ არა ის დღე... აი, ის დღე, თბილისში, რუსთაველი რომ სისხლით მოირწყა, რომ არა ის დღე, მე ახლა რუსულად ვისუნთქებდი, რუსულად ვიფიქრებდი, რუსულად დავწერდი ამ ყველაფერს და რუსულადვე ავჭიკჭიკდებოდი. რომ არა ის დღე, ამას საერთოდ არ დავწერდი. რომ არა 9 აპრილი, არ იქნებოდა საქართველოც.

ბარების ბასრი პირები წითლად შეიღება. ყველაფერი გაწითლდა. ქვაფენილების ჭრილებში ღრმად ჩაჯდა ქართული სისხლი. იმ სისხლის კვალს დღეს ვერ ვნახავთ, ამაზე წვიმამ და დრომ იმუშავეს კარგად. კვალი წაშალეს, მაგრამ ჩვენ გულებში არაფერი წაშლილა.

მე 16 წლის ვარ. არ ვყოფილვარ იქ. იქ, სადაც ქართველებმა თავი შესწირეს. არ ვიცი მაშინ როგორი ნიავი ქროდა, არც ის ვიცი, რისი სუნი ტრიალებდა ჰაერში, მაგრამ წარმოვიდგენ... ყველაფერს ერთსულოვნების სუნი ასდის. ხალხი ერთად დგას. ერთი სული სხვადასხვა სხეულებშია მოქცეული, უამრავი ადამიანის სხეულში. ყველა ერთი მიზნისთვის იბრძვის. არავინ ფიქრობს სიკვდილზე. ისინი ხომ ერთმანეთის გვერდით არიან. რისი უნდა ეშინოდეთ?! არავინ მოკვდება. საქართველოს დამოუკიდებლობას მოიპოვებენ და ყველანი სახლებში წავლენ, გააგრძელებენ ცხოვრებას დამოუკიდებელ საქართველოში. მათი სახეები ისეთი მრავალფეროვანია. ერთდროულად დაინახავთ სიხარულს, შემართებას და აღტაცებასაც... მაგრამ შიშს ვერა. შიში არ გვჩვევია ქართველებს.

ქალები, ბავშვები, კაცები. მათი სახის ქართულ ნაკვთებს მალე მომწამლავი აირი მოედებათ, მათ კი, ეს არ იციან. არც წინათგრძნობა აქვთ ცუდი.

ვიღაც ქალი ფანდურით ხელშია. რაღაცას მღერის, რაღაც ძალიან სასიამოვნოს და ჟრუანტელის მომგვრელს. სიტყვები, რომც არ გესმოდეთ, მაინც შეგძრავთ. სიმღერაში უკვე შიში იგრძნობა. ძნელად შესამჩნევია, მაგრამ მაინც იგრძნობა.

ტანკები მოდიან. ჯარისკაცები ნიჩბებით. აქ იბადება შიში თითოეული ადამიანის გულში. არ იმჩნევენ, არ უნდათ რომ შეიმჩნიონ. თუ არ გეშინია ადამიანი არ ხარ! ბარების მჭრელი პირების ბრჭყვიალი მათკენ მოიწევს. ახლა ყველაფერი შეიცვლება. ქალი ფანდურით სიმღერას შეწყვეტს, ადამიანები ერთმანეთს ხელებს ჩაკიდებენ და ბედს შეეგუებიან. არ მიდიან. აქ იქნებიან მანამ, სანამ საქართველო არ გაიმარჯვებს. რუსული ბარები მათ სხეულებს უახლოვდება. ჭრის, ტკივილს აყენებს მათ. მაგრამ სულებს ვერ დაუზიანებენ. გამარჯვების სურვილს ვერ დაუზიანებენ, გულებს ვერ აატკივებენ. სისხლის წვეთები ქვაფენილზე მიიკვლევენ გზას, სადაც გარბიან...

ამ ყველაფერს წარმოვიდგენ და მზარავს. მზარავს ის სისხლის წვეთები და ის ტკივილი. მზარავს, მაგრამ მაინც ვწერ, ამ ყველაფერს და ბედნიერი ვარ, რომ ამ სიტყვებს ქართულად ვძერწავ. წინადადებებს ქართულად ვადგენ და არა რუსულად. ბედნიერი ვარ, რომ საქართველო არსებობს.

მე ქართველი ვარ! მე დამოუკიდებელ საქართველოში ვცხოვრობ! რა შემიძლია გავაკეთო იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც ქართველად ყოფნის და დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრების საშუალება მომცეს?! მათი სახელები იცოცხლებს ჩემს გულში, სანამ მე ვიცოცხლებ და სანამ ჩემი შთამომავლობა გაგრძელდება, სანამ სახელი საქართველო იარსებებს და სანამ ერთმანეთს „გამარჯობათი!“ მივმართავთ.

კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ ეს სიტყვა: „გამარჯობა!“ ტანში ჟრუანტელი მივლის და ვამაყობ. გამარჯობა! გამარჯვება! გამარჯვება ჩვენ!

ნიკა ვადაქარია, ხობის №1 საჯარო სკოლის 12-ე კლასის მოსწავლე.

ვლოცულობ!

მე ვარ მარიამ გაგუა, რვა წლის, ვსწავლობ ხობის №2 საჯარო სკოლის IIIª კლასში. მასწავლებლის მონაყოლიდან ვიცი, რომ თბილისში, 9 აპრილს, გამთენიისას შემოიჭრნენ რუსები ტანკებით, დაარბიეს აქცია და დაიღუპა 21 ადამიანი, ისინი საქართველოს თავისუფლებას შეეწირნენ.

ჩემი სახლის წინ 9 აპრილის მემორიალია, მე ყოველ წელს მივდივარ იქ, ვანთებ სანთელს და ვლოცულობ.

მოამზადა ნაირა ბერაიამ

მოსახლეობას ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგია გააცნეს

ქალაქ ხობში, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრმა, სიმინდის მასივების მფლობელ ფერმერებთან, სამუშაო შეხვედრა გამართა.

ცენტრის ხელმძღვანელმა, ლაშა შალამბერიძემ აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის დეტალებზე ისაუბრა და შეხვედრის მონაწილეთა კითხვებს უპასუხა.

შეხვედრას სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ლევან თოლორდავა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

აქტიური საინფორმაციო კამპანია–მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა;

მონიტორინგი–გულისხმობს აზიური ფაროსანას გავრცელების არეალის დადგენას, მავნებლის განვითარების ფაზების, პოპულაციის რიცხოვნობის დინამიკის და ღონისძიებების ჩატარების ვადების განსაზღვრას;

აზიური ფაროსანას კონტროლის ღონისძიებები–მავნებლის საწინააღმდეგო წამლობა;

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიზნად ისახავს, საქართველოს პირობებში, აზიური ფაროსანას ბიოლოგიის შესწავლას, ბიოლოგიური მტრების გამოვლენას, მცენარეთა დაცვის სხვადასხვა, მათ შორის ბიოლოგიური საშუალებების ეფექტიანიობის დადგენას.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო განახორციელებს მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებსა და კერძო საკუთრებაში არსებულ ერთწლიანი კულტურების დიდ მასივებში.

მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით თხილის კულტურაში, სახელმწიფომ, ტექნიკური საშუალებები გადასცა საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციას;

სახელმწიფო მოსახლეობას აძლევს რეკომენდაციებს პრეპარატების, მათ შორის ბიოლოგიური და მექანიკური საშუალებების გამოყენების შესახებ;

მავნებელთან ბრძოლისას მაქსიმალური ეფექტის მისაღებად უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის მონაწილეობა.

ღონისძიებების განხორციელების პროცესს კოორდინაციას უწევს სპეციალური სამთავრობო კომისია.

2019 წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსებისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 45 მილიონი ლარია გამოყოფილი.

ამ დროისთვის, დასავლეთ საქართველოში, აზიური ფაროსანას ღონისძიებების პირველი ეტაპი დასრულდა, მავნებლის იდენტიფიკაციას და ზუსტი არეალის დადგენის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფებმა საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი და მიტოვებული შენობები ვიზუალურად დაათვალიერეს და აღწერეს.

პირველი ეტაპის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, დასავლეთ საქართველოს იმ სოფლებში, სადაც მავნებლის დიდი კონცენტრაცია დაფიქსირდა, „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურები დამონტაჟდება.

29 აპრილი ხსოვნის დღეა

ეთერ ბასლანძე

გაზაფხულია... მერცხლების ცეკვას პატარა ბავშვივით ვუყურებ ზეცაში... ყვითელგულა ბაიებიც აყვავილდნენ, იასამნებიც და გლიცინიებიც...

ბე, მალე დიდი აღდგომაც მოვა... მე კი ეს დღეები სულ შენზე ვფიქრობ და სულ გულით გატარებ... სანთელს დაგინთებ და მერამდენედ გამეჩხირება ყელში ბურთი... ახლაც ასე ვარ... წამომიარე, მომიდიდი და მინდა მოგეფერო, ისევ შენი პატარა გოგო გავხდე და მოკლე კაბაში ჩაცმულმა სირბილით გავიარო მანძილი შენი ჭიშკრიდან აივნამდე, ბე... ისე სწრაფად გამოვიქცე, რომ შენ შუა ეზომდეც ვერ მოასწრო მოსვლა... შენ სველი ხელები წინსაფარზე შეიწმინდე ბე და ჩამეხუტე ბე, მერე მე ვირბენ სახლის გარშემო, ვირბენ და ვიტკენ მუხლებს, შენ თავი შემომავლე და მუხლი გადამიხვიე, მომიყევი იმდენი ზღაპარი და ძველი ამბავი, რომ გათენება ვერ ვიგრძნო... ბე, ბებო, ის აღდგომა მენატრება, შენ, რომ ჭიშკართან გვეგებებოდი და მერე, ალიონზე მიდიოდი ბაბუას საფლავთან... ბე, ის გაზაფხული მენატრება შენს ეზოში, რომ ყვავილებს ვკრეფდი და თმაზე ვიმაგრებდი... ბე, ის სიგრილე მენატრება, შენ რომ დედას ეტყოდი, ბავშვს ჩააცვი, არ შესცივდესო, მენატრები ბე...

დიკა სალაყაია.

ზაურ ლატარია, ლენა მიქავა

მშობლის ამქვეყნიდან წასვლა შვილისთვის ყველა დროსა და ასაკში გაუსაძლისი ტკივილია...

უკანასკნელ გზაზე სავალად გაზაფხულის მზიანი დღე აირჩია და თან იებისა და ყოჩივარდების სურნელი გაიყოლა...

სისპეტაკით, საუკეთესო ადამიანური თვისებებით გამორჩეული, ხანდაზმული–ცხოვრების ავ-კარგით მხრებდამძიმებული, 84 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან, ავადყოფნის ტკივილით შეწუხებულს, თითქოს მიეჩქარებაო მეუღლესთან შეხვედრა, ფაციფუცობდა...

ხეთელი ზაურ ივლიანეს ძე ლატარია–ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება უანგაროდ გასცემდა სითბოს და სიყვარულს. თავს ევლებოდა მეუღლე ფასო (ლენა) მიქავას, შვილებს, შვილიშვილებს.

ახალგაზრდობა და სიჭარმაგე სოხუმში, სალოკომოტივო დეპოს მემანქანედ გაატარა. უანგარო შრომისთვის მრავალი ჯილდო და სიგელი ამშვენებდა მის ბიოგრაფიას. მთავარი მისთვის ის დიდი სიყვარული იყო, რომელსაც მეგობრებისა და მეზობლებისგან გრძნობდა. დიდი ტკივილი იყო მისთვის აფხაზეთის დაკარგვა, რომლის განცდა გაიყოლია სამუდამო სასუფევლისკენ.

ოჯახს, შვილიშვილებს, ახლობლებს დაგვრჩა ულამაზესი მოგონებები, სითბო, რომელიც ახლაც გვათბობს.

აღდგომის დღესასწაულს გილოცავთ დედა და მამა, ჩვენთვის დაუვიწყარო ადამიანებო.

იძინეთ მშვიდად, მუდამ გვემახსოვრებით, მოგიგონებთ, თქვენს საფლავებს მოვეფერებით.

ნათელი დაადგეს თქვენს ხსოვნას.

შვილები ეკა და მამუკა, შვილიშვილები, შვილთაშვილი.

მანონი ცხადაია

ჩემო მოურჩენელო ტკივილო, სამი ძმის ერთადერთო დაო, და რაც მთავარია, ჩემო ტყუპისცალო, მანონი. შენ ჩემი სულისა და გულის ნაწილი ხარ. დიდი დრო გავიდა შენი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ–35 წელიწადი, მაგრამ დამიჯერე, ტკივილი არ გამნელებია, შენ ისეთი იყავი, ყველასგან განსხვავებული.

ჩვენს მასწავლებლებს განსაკუთრებით ეიმედებოდით, ნიჭიერი, კითხვა შენი ჰობი იყო, ამიტომაც შენს ასაკთან შედარებით მრავალმხრივ განვითარებული იყავი...

14 წლისა გამოეთხოვე სიცოცხლეს, რომელიც ასე გიყვარდა და გიხდებოდა ჩემო თვალხატულავ. დღესაც მტკივნეულია კითხვა, რომელიც მაწუხებს–ეს ბედისწერა იყო თუ ექიმების შეცდომა...

მიუხედავად იმისა, ოჯახიც მყავს, შვილებიც და შვილიშვილებიც, ახლა უფრო მაკლიხარ, უფრო მტკივა უშენობა... თვალებში სხივი ჩაუქრა ჩვენს მოხუც დედას, და ყოველდღე ნატრობს შენთან შეხვედრას.

მიყვარხარ, უფრო მეტად, ვიდრე მაშინ, მენატრები უსაშველოდ...

შენი ტყუპისცალი მამუკა ცხადაია.

29 აპრილი ხსოვნის დღეა

კლარა კილასონია–ბერიშვილი

არასოდეს ვიფიქრებდი შენზე მოგონებებს თუ დავწერდი ჩემო დაიკოვ, ჩემო კლარიკო! რა ულმობელია წუთისოფელი, მე შენზე უფროსი, შენზე ვწერ, ეს ხომ უსამართლობაა.

უკვე თვეები გაილია და ვერა და ვერ ვეგუებით შენს არყოფნას. ნეტავ ხედავდე, შენს შვილებს, მეუღლეს, დებს, ძმას, გული საგულედან ამოგძვრებოდა, და ალბათ, მეორედ გარდაიცვლებოდი. ჩვენო საყვარელო, შენი არყოფნა ყველაფერს ატყვია, როგორც ხამისქურში, ასევე აქ, ხობში.

ხომ ვიცით, როგორი უთბილესი და მოალერსე დედა იყავი, ისიც ხომ ვიცით, შენს შვილებს არ მიატოვებდი ასე ხანგრძლივად, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, თავს ზემოთ ძალა არაა და შენ თავის დაღწევა არაფრით შეგეძლო.

კლარა, ჩვენო დიდო ტკივილო, შენმა უეცრად წასვლამ, თითქმის ყველა ტკივილი დაგვავიწყა. გაუსაძლისია შენი ანზორის, გიგასა და გოგას ყურება. უშენობა მათთვის ნამდვილად რომ გაუსაძლისია... ნუნუ, მაყვალა, დოდო და რამაზი ნუ იტყვი, მთლად შეიცვალნენ. ქუჩაში გამვლელები თითქმის ვერ ცნობენ... ჩვენ განუყოფლები ვიყავით და ვართ. განა მარტო ჩვენ, დები და ძმა, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვისაც მუდამ საყვარელ „კალიკოდ“ დარჩები.

დღეები გადიან. გაზაფხულია. ხომ იცი რამდენად ლამაზი იყო მისი მოსვლა. შენს ლამაზ ყვავილებს შენი ხელის შევლება სჭირდებათ ორივეგან. გელოდოთ?..

წინასწარ გილოცავთ აღდგომას. რა ფაციფუცში იყავი მუდამ ჟამს. შენ და ანზორი ყოველთვის დღესასწაულებს აქ, ხობში ატარებდით შვილებთან ერთად.

ახლა? რა ქნან მათ უშენოდ? იმ დღეს ვიცი, შენს საფლავზე წითელი კვერცხებითა და ლამაზი ყვავილებით მივლენ და მოგილოცავენ ამ აღდგომას. ისედაც მუდამ, ყოველი დილა შენს საფლავთან მისვლით იწყება შენი შვილებისა და ოჯახისთვის, თითოეული შენს საფლავს დასტრიალებს, ყვავილნარად გიქციეს ის ადგილი, სადაც შენ, სამუდამოდ დაივანე...

გკოცნით, გვენატრები, გვიყვარხარ საყვარელო...

ნანი კილასონია.

აგული აბრამია და კაკო ნანავა

ჩვენი ოჯახებისთვის მტკივნეულ დღეებში, ფოტოებს ვათვალიერებდით, უამრავ ალბომს შორის, სადაც აბრამიების და ნანავების სიხარულის ამსახველი კადრია, ერთმა ფოტომ ყველაზე მეტად ჩამაფიქრა.

ფოტოზე ბატონი აგული და მისი მზახალი კაკო გვერდი-გვერდ ბედნიერნი დგანან და მათთვის პირველი შვილიშვილის ნიკას შეძენის სიხარულს აღნიშნავენ.

კაკო ნანავა–ეს კაიკაცობით, მოყვასის სიყვარულითა და კოლხური ტრადიციების მოყვარული ადამიანი, ბოლო წლები მძიმე ავადმყოფობას ებრძოდა. გარდაცვალებამდე მასთან სანახავად მისულმა ბატონმა აგულიმ მზახალი გაამხნევა და დაუბარა: „მეორედ რომ მოვალ, წამომდგარი დამხვდიო“. დასანანია, რომ მისი თხოვნა ორივესთვის უკანასკნელი აღმოჩნდა...

სამწუხაროდ, ეს ორი ადამიანი ვერც კი გაიფიქრებდა, 19 წლის წინ ბედნიერების დღის აღნიშვნისას, ერთმანეთის დალოცვისას, გვერდიგვერდ მხიარულად მდგარნი, ორივე ერთ კვირაში გარდაიცვლებოდნენ და სამი დღის შუალედით მიაბარებდნენ მშობლიურ მიწას.

უფალმა აცხონოს მათი ალალი სულები...

შთამომავლობას ღირსეულად ცხოვრების გაგრძელებას ვუსურვებ.

ირაკლი შონია

გოგა გვასალია

გოგა (გერო), არ ვიცი, როგორ მოვუყარო სათქმელს თავი და მოგონებებში როგორ ვისაუბრო შენზე...

ჩემს თვალწინ გაზრდილო ვაჟკაცო, 22 აპრილს შენი დაბადების დღეა და შენი ოჯახი პირველად აღნიშნავს შენს გარეშე... უშენოდ ყველას უჭირს... ან კი როგორ მოასწარი ასე პატარამ ამხელა სიყვარულის დათესვა, ვისაც კი ერთხელ შეხვედრიხარ, ყველა გულამოსკვნით აატირე... ყველა, რომ სიყვარულით და სინანულით ახსენებს შენს სახელს... შენ ყოველთვის იქნები ჩვენს გულებში, ხალისიანი, გულიანი, კეთილი, სიყვარულით სავსე გოგა...

ნათელი ეფინოს შენს სულს ჩვენო ვაჟკაცო და აღდგომის სიხარულით ეხაროს ყველა შენიანს...

ქრისტე აღდგა, გოგა! გილოცავ ჩემო მოუსვენარო და ონავარო ბიჭო, (შენი ბავშვობა მიდგას თვალწინ და ასეთი მემახსოვრები მუდამ).

თამილა გვასალია.

ნინო სერგია

წელიწადიც არ გასულა, რაც ხობის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს გამოაკლდა ყველაზე ახალგაზრდა პედაგოგი ნინო სერგია. პირველი გაზაფხულია, რომელსაც შენ შენი ღიმილით, სუფთა სულით არ ალამაზებ.

ძალიან მტკივნეულია ჩვენთვის ნინოზე წარსულში საუბარი.

წარმატებული პედაგოგი, საუკეთესო კოლეგა, სანიმუშო დედა და შვილი–ასეთად დაამახსოვრდა იგი ყველას, ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა.

კიდევ ერთხელ ვუთანაგრძნობთ შენს ოჯახს, მეუღლეს, თვალებკოკორა თამარს და მშობლებს.

ჩვენი დიდი ტკივილი ხარ ნინო. გჯეროდეს, მუდამ იარსებებს შენი სახელი სამუსიკო სკოლის კედლებში. უსაშველოდ გვენატრები...

სამუსიკო სკოლის კოლექტივი.

ანრი ჯგერენაიას ხსოვნას

ვინ თქვა, რომ დრო მკურნალია,
მსგავს ჭრილობას დრო ვერ კურნავს,
ვისთვის ბრუნავს ეს ცხოვრება,
ვისთვის ჯვარცმით სავალია.
ვისთვის უღვთო ტკივილია,
ვისთვის არის აღსარება,
ვისთვის სიტკბო, ღიმილია,
სად არ ელი იქ გაწყდება.
დრო იკივლებს საშინელი,
შეაჩერებს ვინმე განა?
დრო „ძლევაი საკვირველი“
მტრისას მისი გამოცანა.
დრო კი ბრუნავს, იმ სამდურავს
დრო ვერასდროს ვერ გაწვდება,
ვის ვერ კურნავს, ვისთვის ბრუნავს,
ჯვარცმულისთვის დრო ჩერდება!
ვერ მოაშთობს მას მანძილი,
სადაც მას სურს იქ გაჩნდება,
ჯვარცმულ დედის ის მანდილი,
დროზე ცრემლად ეკიდება!
სულ სხვა არის ჯოლხის ნანა,
ღვთისმშობლისგან მოგვდევს ასე,
მისგან გვერგო ეს ქვეყანა,
მისგან სულის სილამაზე,
მისგან გვერგო სიყვარული
თუ რამ დარჩა კიდევ ჩვენთან,
ჩვენის ცოდვით ჯვარს გაკრული.
შორს ვიყავით მუდამ ღმერთთან,
ვიღაცისთვის ჯვარს გაკრული,
ვიღაცისთვის ნეტარება,
გადარჩება სიყვარული.
სხვა ყოველი დროს გაყვება.
ვის საოცრად გაახარებს,
ვის მოუვლენს უღვთო ურვას.
ვის უფსკრულში მიაქანებს,
დრო კი ბრუნავს, მაინც ბრუნავს!

ბადრი ლომაია.

გვწერენ

„გავუთბოთ ერთმანეთს გულები!“

აპრილის ერთი მშვენიერი დღე ხობელი ბავშვებისთვის განსაკუთრებული აღმოჩნდა. მათი გულების გასათბობად და გასახარად ხობს თბილისის საბავშვო თეატრი „ბომბორა“ ეწვია.

გოგო-ბიჭები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ყოველივეს, თვალებს აფახულებდნენ,

ხელში სპექტაკლის ბილეთები ეჭირათ და თეატრის კარებს აწყდებოდნენ...

უჩვეულო დღე დაუდგათ ხობის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსმა, ქალბატონმა ბეატრისა რუსიამ, ნიშნად თანადგომისა და კეთილი ნების გამოხატვისა, სსსმ ბავშვებს და მათ პედაგოგებს სპექტაკლზე დასასწრები ბილეთები შეუძინა და საჩუქრად გადმოგვცა.

ქალბატონმა ბეატრისამ კარგად იცის, რაოდენ მნიშვნელოვანია სსსმ ბავშვებისთვის თანატოლებთან ერთად ყოფნა არამარტო საგაკვეთილო პროცესში, არამედ მათი ჩართვა სხვადასხვა სახის გასართობ პროგრამაში.

მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანური ურთიერთობებია, აუცილებელია ასეთი ბავშვების ადაპტაცია საზოგადოებასთან, რადგან საზოგადოება ეჩვევა მათ და ისინიც ინტეგრირდებიან. მათ თანატოლებთან ერთად, უნდა გამოხატონ თავიანთი ემოციები, მისწრაფებები, აიმაღლონ ცნობიერება–განაცხადა ქალბატონმა ბეატრისამ.

და, მართლაც, ამ დიდებულმა ქალბატონმა ბავშვებზე ზრუნვით, თანადგომით მათი გული გაახარა. მისცა საშუალება იმისა, რომ დაინტერესებულიყვნენ იმით, რითაც მათივე თანატოლები–თეატრით.

ყოველ მათგანს ხომ სხვადასხვა გატაცება აქვთ. იქნებ რომელიმე მსახიობობაზე ოცნებობს?

ეს ნაბიჯი თანადგომისა და მორალური მხარდაჭერის არაჩვეულებრივი მაგალითია.

ქალბატონმა ბეატრისამ აღნიშნა, რომ აპრილის ბოლოს იგეგმება სსსმ ბავშვებთან შეხვედრა. მათ მიეცემათ საშუალება პედაგოგებთან ერთად თავიანთი უნარის გამოვლენისა (სიმღერა, ცეკვა,ხატვა), რითაც გამოირჩევიან.

შემოგვიერდით!

ვაჩუქოთ ერთმანეთს სითბო და სიყვარული!

გავუთბოთ ერთმანეთს გულები!

ჩვენ ერთნი ვართ!

რუსუდან ბუკია,
ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ თორსის საჯარო სკოლის პედაგოგი

24-30 აპრილი–ევროპის იმუნიზაციის კვირეული

კვირეულის მიზანია ვაქცინაციით მართვადი დაავადებებისგან თავისუფალი ევროპის რეგიონი, სადაც ყველა ქვეყანა უზრუნველყოფს იმუნიზაციის სერვისებს მთელი ცხოვრების მანძილზე.

საქართველოში და მათ შორის, ხობის მუნიციპალიტეტშიც ბავშვთა და მოზარდთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა სრულად უზრუნველყოფს ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინების შეყიდვას და 12 დაავადების (ტუბერკულოზი, B ჰეპატიტი, დიფტერია, ყივანა-ხველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი B, წითელა, წითურა, ყბა-ყურა, როტავირუსული და პნევმოკოკური ინფექციები) საწინააღმდეგო ვაქცინაციის დაფინანსებას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

ვაქცინების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო შეისყიდის მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებულ ვაქცინებს.

მიუხედავად წარმატებებისა, საჭიროა უფრო მეტის გაკეთება, ჩატარებული აცრები შედეგიანი რომ იყოს, საჭიროა ბავშვთა და მოზარდთა კონტიგენტის 95%-ზე მეტი იყოს აცრილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოსახლეობაში იქმნება ძლიერი იმუნური ფენა და არ განვითარდება და არ გვექნება მართვადი დაავადებების არცერთი შემთხვევა.

როგორც ცნობილია ქვეყანაში 2018 წლიდან გვაქვს წითელას ეპიდაფეთქება. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო უზრინველყოფს წითელას და წითურას იმუნოპროფილაქტიკას წწყ ვაქცინით. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ჯანდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დაწყებულია მასიური კამპანია წითელას და წითურას პრევენციის მიზნით. წწყ ვაქცინაციით ერთჯერადი დოზით უნდა აიცრას. 1–19 წლის კონტიგენტი, რომლებიც არ არიან აცრილები ან არასრულად არიან აცრილები. წწყ-ს ერთჯერადი დოზით აცრა უნდა ჩაუტარდეს ასევე 19-დან 41 წლამდე ასაკის ყველა ადამიანს, ასევე ერთჯერადად უნდა აიცრას სამედიცინო პერსონალი. წითელას შემთხვევებისას კონტაქტირებულ პირებს უნდა ჩაუტარდეს ერთჯერადი ვაქცინაცია აცრის სტატუსის გათვალისწინებით.

გახსოვდეთ, წითელა სიცოცხლისთვის საშიში დაავადებაა!

ვაქცინაცია წითელასგან დაცვის ერთადერთი საშუალებაა. შეაჩერე წითელას გავრცელება საქართველოში–არ გადადო, აიცერი!

ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

საშვილოსნოს ყელის კიბო სიმსივნურ დაავადებებს შორის სიხშირით მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში. საქართველოში ყოველწიურად საშუალოდ 200 ქალი იღუპება საშვილოსნოს ყელის კიბოთი, რაც კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის 2,7 პროცენტს შეადგენს.

2017 წლიდან ქალაქებში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში დაიწყო 2008-2009 წლებში დაბადებული გოგონების ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ორჯერადი ვაქცინაციის პილოტური პროგრამა. აღნიშნული ვაქცინით გოგონების აცრები 2019 წლიდან ჩატარდება ქვეყნის მთლიანი მასშტაბით.

ყველა ბავშვი იმსახურებს თანაბარ შესაძლებლობას იცხოვროს ჯანმრთელად. ვაქცინაცია კი ამ მიზნისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

გახსოვდეთ, რომ იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტიაა და აუცილებელია დავიცვათ აცრების კალენდარი სრულყოფილად, და რაც მთავარია, დროულად ჩავუტაროთ აცრების სრული კურსი! ამ შემთხვევაში ბავშვები დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისგან, რომლის საწინააღმდეგოდ ჩაუტარდათ აცრები. ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება, ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თითოეული სასოფლო საექიმო ამბულატორია უზრუნველყოფილია ყველა სახეობის ვაქცინებით. ნებისმიერ ბავშვს და მოზარდს გეგმიური ან არაგეგმიური ვაქცინაციის ჩატარება შეუძლია თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი

სპორტი

ანრი ჯგერენაიას სახელობის ტურნირი

ქალაქ ხობში, ანრი ჯგერენაიას სახელობის საფეხბურთო პირველობის ფინალური მატჩები გაიმართა. შეჯიბრებაში ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 8 გუნდი მონაწილეობდა. პირველობის გამარჯვებული ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის გუნდი გახდა, მეორე ადგილი ჭალადიდის სკოლამ, ხოლო მესამე ადგილი შუა ხორგის საჯარო სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა დაიკავეს.

სპორტულ ღონისძიებას ანრი ჯგერენაიას ოჯახის წევრებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ გუნდებს თასები, სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

სპორტული პირველობა ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

„კოლხეთის“ ქალ ფეხბურთელთა გამარჯვება

ხობის ცენტრალურ სტადიონზე ქალთა საფეხბურთო ლიგის პირველი ტურის მატჩში ხობის „კოლხეთმა“ თბილისის „ნორჩ დინამოელს“ უმასპინძლა. შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით, ანგარიშით 1-0 დასრულდა.

მიმდინარე გათამაშებაში ხაშურის „ივერია“, ლანჩხუთის „ლანჩხუთი“, ქუთაისის „მართვე“, ბათუმის „დინამო ბათუმი“, თბილისის „ნიკე“, ხობის „კოლხეთი“, ჩხოროწყუს „სამეგრელო“, თბილისის „ნორჩი დინამო“, გორის „გორი იუნაიტედი“ და ახალციხის „ზარზმა“ მონაწილეობს.

ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს სპორტული ინვენტარი და ფირმა „ჯომას“ სათამაშო ფორმები გადაეცათ.

ქალთა ლიგაში „კოლხეთი“ (მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ლატარია) 2018 წლიდან მონაწილეობს, ხოლო გუნდის წევრები საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში ასპარეზობენ.

შეხვედრას საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრების მენეჯერი თეო გონგაძე და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ელისო კვიკვინია ესწრებოდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.